დავალების ხელშეკრულება

ქ.თბილისი

დასახელება (სახელი, გვარი): შ.პ.ს ინვენტორი,

წარმოდგენილი: გიორგი რობაქიძე

პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: 405312709

შემდგომში **„რწმუნებული“**

ვმოქმედებთ რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით, დავდეთ წინამდებარე დავალების ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „რწმუნებული“ ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) მოქმედება „მარწმუნებლის“ სახელით და ხარჯზე, კერძოდ, „მარწმუნებულის“ დავალებით, მითითებებისა და აღწერილობის შესაბამისად შეიძინოს სხვადასხვა სახის მოძრავი ქონება, სათადარიგო ნაწილები, ნივთები და ა.შ., განახორციელოს აღნიშნული ნივთების (შემდგომში - „გზავნილი“, „ნივთი“) ტრანსპორტირება „მარწმუნებულის“ მიერ შეკვეთაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ადრესატებისათვის (მყიდველებისათვის) გადაცემის მიზნით და უზრუნველყოს მყიდველებისაგან მარწმუნების სახელით მიღებული ნაღდი ფულის (ქონების ფასის) მარწმუნებლისათვის გადაცემა.

1.2. რწმუნებულს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვალდებულება დადასტურებული შეკვეთის ფარგლებში წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ან ელექტრონული ფორმით დაადასტურებს მარწმუნებლისაგან შეკვეთის მიღებას და არაორაზროვნად განაცხადებს თანხმობას შეკვეთილი დავალების შესრულებაზე.

2. მხარეთა უფლება - მოვალეობები

2.1. „რწმუნებული“ ვალდებულია:

2.1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „რწმუნებული“ ადასტურებს თავის სურვილს, და უფლებამოსილებას, რათა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, განახორციელოს ამავე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული დავალების შესრულება, ამავე ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში და პირობებით.

2.1.2. შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად, დროულად და კვალიფიციურად.

2.1.3. გაუფრთხილდეს დავალების შესრულების დროს მისთვის დროებით გადაცემულ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) „მარწმუნებლის“ ქონებას და ფინანსურ სახსრებს.

2.1.4. მისცეს „მარწმუნებელს“ აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შესრულების შემდეგ ჩააბაროს მას ანგარიში.

2.2. „რწმუნებული“ უფლებამოსილია:

2.2.1. მოითხოვოს მის მიერ გაწეული დავალების შესრულებისათვის ანაზღაურება, წინამდებარე ხელშეკრულებაში დადგენილი წესით.

2.2.2. დავალების შესრულებისათვის გამოიყენოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილება, დავალების შესრულების მიზნებისთვის, მესამე პირზე გადანდობის უფლებით. ასეთ შემთხვევაში,

რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში.

2.2.3. მოსთხოვოს „მარწმუნებელს“ ავანსი იმ ხარჯებისათვის, რომლებიც მას უნდა აუნაზღაურდეს.

2.2.4. ნებისმიერ დროს, მარწმუნებილის თანხმობის გარეშე, ცალმხრივად შეიტანოს ხელშეკრულებაში გაცხადებულ პირობებში ისეთი დამატება ან/და ცვლილება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების საგანს და დავალების შესრულების ფორმას.

2.2.5. გამოიყენოს „მარწმუნებლის“ მიერ მისთვის მიცემული ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს წარმოშობილი მომსახურების ოპტიმიზაციისა და გაუმჯობესებისათვის. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს მესამე პირებს ინფორმაციის ანალიზი.

2.2.6. მოახდინოს (მათ შორის სეზონურად) დადგენილი ტარიფის და ანაზღაურების ცვლილება-კორექტირება.

2.2.7. 3.3. პუნქტით გათვალისწინებული მეთოდით ანგარიშსწორებისას უარი განაცხადოს მყიდველისათვის გზავნილის გადაცემაზე მყიდველის მიერ ქონების ფასის წინასწარ (გზავნილის გადაცემამდე) და სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, რაც არ ჩაითვლება რწმუნებულის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

2.2.8. სამი სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს მარწმუნებელს გზავნილი მის მიერ მითითებულ მისამართზე მყიდველის არყოფნის, მყიდველის მიერ გზავნილის მიღებაზე უარის თქმის ან 2.2.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ავანსის არარსებობისას, მარწმუნებელი ვალდებულია გზავნილის გადმოცემამდე სრულად აუნაზღაუროს რწმუნებულს მომსახურების საზღაური (გასამრჯელო) და დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. წინაალმდეგ შემთხვევაში რწმუნებული უფლებამოსილია, გამოიყენოს გზავნილის დაკავების უფლება, დაარიცხოს მარწმუნებელს გადახდის დაგვიანების პირგასამტეხლო ვადამოსული გადასახდელი თანხის 1%-ის (ერთი პროცენტი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ან/და გზავნილის მიმართ გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, ა) მიაქციოს თავის საკუთრებაში, ბ) გაასხვისოს მისთვის მისაღები ფორმითა და პირობებით, ხოლო ამონაგები თანხა სრულად დაიტოვოს გასამრჯელოს, გაწეული ხარჯების, დამდგარი ზიანისა და ჯარიმის ანგარიშში, გ) თავისუფლად (ყოველგვარი პასუხისმგებლობის აღების გარეშე) გაანადგურის ან დ) შესანახად მიაბაროს მესამე პირს მარწმუნებლის სახელით ან/და მის ხარჯზე. აღნიშნული უფლებები რწმუნებულს წარმოეშობა აგრეთვე მაშინ, თუ მარწმუნებელი პირდაპირ ან ირიბად (მოქმედებით/უმოქმედობით) უარს იტყვის გზავნილის მიღებაზე ან მისი მოძიება იქნება შეუძლებელი ან დიდი ხარჯებთან დაკავშირებული.

2.3. „მარწმუნებული“ ვალდებულია:

2.3.1. გადაუხადოს „რწმუნებულს“ მის მიერ შესრულებული დავალებისათვის გასამრჯელო წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობებით.

2.3.2. აუნაზღაუროს „რწმუნებულს“ მინდობილი მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები.

2.3.3. აანაზღაუროს ნებისმიერი სახის ზიანი, როგორც „მარწმუნებლის“ მითითების შედეგად დამდგარი ასევე მის გარეშე, რომელიც წარმოეშვა „რწმუნებულს“ დავალებული მოქმედების შესრულებისას.

2.3.4. მიიღოს „რწმუნებულისგან“ წინასწარი თანხმობა, მესამე პირისათვის რაიმე ფორმით უფლების გადაცემაზე, ან/და რაიმე გარიგების დადებაზე, რომელმაც შეიძლება პირდაპირ თუ ირიბად ხელი შეუშალოს „რწმუნებულის“ მიერ წინამდებარე დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

2.3.5. თანხმობის გარეშე „მარწმუნებულის“ მიერ ამ მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებლივ შედეგებს გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა.

2.4. „მარწმუნებელი“ უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს „რწმუნებულს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

2.4.2. წერილობით მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია გონივრული ვადის გათვალისწინებით.

3. **ანაზღაურების წესი და პირობები**

3.1. მარწმუნებლის მიერ რწმუნებულისათვის გასამრჯელოს გადახდა და დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, როგორც წესი, ხორციელდება წინასწარი გადახდის პრინციპით, მარწმუნებლის მიერ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ რწმუნებულის საბანკო ანგარიშზე ფულადი თანხის შეტანის გზით, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება – რწმუნებულის მოთხოვნისთანავე.

3.2. წინასწარი ანგარიშსწორებისას დავალების შესრულების გასამრჯელო განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის „სპეციალური ტარიფებით“, ხოლო სხვა შემთხვევაში (მათ შორის, 3.1. პუნქტის შესაბამისად რწმუნებულის ანგარიშზე წინასწარ შეტანილი თანხის ამოწურვის/არასაკმარისი ფულადი სახსრების არსებობისას) – დანართი №1-ის „სტანდარტული ტარიფებით“.

3.3. გასამრჯელო გამოანგარიშდება „სტანდარტული ტარიფების“ მიხედვით მაშინაც, თუ ქონების ფასის მიღება ნაღდი ფულის სახით წარმოებს უშუალოდ მყიდველისაგან. ამ შემთხვევაში, მიღებულ თანხას (ქონების ფასი) აკლდება რწმუნებულის კუთვნილი გასამრჯელო და დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სხვაობა მარწმუნებელს ჩაერიცხება მე-8 მუხლში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ან გადაეცემა ნაღდი ფულის სახით. თუ მყიდველისაგან მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი გასამრჯელოსა და ხარჯების დასაფარად, სხვაობას რწმუნებულის მოთხოვნისთანავე სრულად აანაზღაურებს მარწმუნებელი.

3.4. ანაზღაურება უნდა მოხდეს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების გზით.

3.5. რწმუნებული უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები დანართი №1-ით გათვალისწინებულ ტარიფებში, რის თაობაზეც მან მარწმუნებელს უნდა აცნობოს ცვლილებების ამოქმედებამდე არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინების გაგზავნით.

3.6. რწმუნებულის მიერ დავალება ჯეროვნად შესრულებულად ითვლება და, შესაბამისად, გასამრჯელო გადახდას ექვემდებარება/გადახდილი გასამრჯელო დაბრუნებას არ ექვემდებარება მყიდველის მიერ ქონების მიღებაზე უარის თქმის, ქონების მდგომარეობასთან დაკავშირებით პრეტენზიების გამოთქმის, მისამართზე არყოფნის და სხვა შემთხვევებში, რაც არ არის რწმუნებულის ბრალეული მოქმედების შედეგი.

4. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ვადამდე შეწყვეტა და პირობები**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ექვსი თვის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარისათვის, მეორე მხარის მიერ, ორი კვირით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.3. თუ ხელშეკრულება წყდება „მარწმუნებლის“ მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს „რწმუნებულს“ მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, და გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

5. **მხარეთა განცხადებები**

5.1. "მარწმუნებელი" ადასტურებს, რომ გაეცნო ხელშეკრულების წესებსა და პირობებს, ასევე თანდართულ დოკუმენტებს, ეთანხმება და იღებს ყველა პირობას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მარწმუნებელი ასევე ადასტურებს, რომ მას როგორც მომხმარებლების მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს გააჩნია წინამდებარე ხელშერკულების ხელმოწერის სრული უფლებამოსილება და აქვს ყველა საჭირო თანხმობა, რომელიც სავალდებულოა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალსწინებულ ვალდებულებებზე ხელმოსაწერად.

5.3. მხარეები ადასტურებენ რომ მათ მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო და საკონტაქტო ინფორმაცია სწორი და ნამდვილია; მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო პირის; მისამართის; ტელეფონის ცვლილების შესახებ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები გათავისუფლებულნი იქნებიან შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილ შესაძლო პასუხიმგებლობაზე და ამავე მიზეზით დამდგარი ზიანის ანაზღაურებისგან.

5.4. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და მათ მი ერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

5.5. მხარეები ვთანხმდებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებ-ლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ან/და ზიანის მიყენების შემთხვევაში რწმუნებულის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ჯამური ოდენობა (ლიმიტი) განისაზღვრება 200 (ორასი) ლარით, რომლის ზემოთაც რწმუნებული წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში პასუხს არ აგებს. ამასთანავე, რწმუნებულის პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი მატერიალური ზიანის ანაზღაურებით.

6. კონფიდენციალობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

6.1. თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

6.2. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

6.3. დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ: ხანძარი, აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება; სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

6.4. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.5. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედების დროს მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ გაახმაურონ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში მათთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც მხარეები მართლზომიერად არიან დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა, ან „მხარეები" ნებას არ დართავენ ერთმანეთს გაამჟღავნონ იგი.

6.6. ინფორმაციის გამჟღავნება, რომლის გახმაურებამაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს მხარეებს და აღიარებულია საიდუმლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იწვევს მხარეთა მატერიალურ პასუხისმგებლობას (წარმოშობილი ზიანისათვის).

6.7. კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობა გრძელდება მხარეთა შორის ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

7.2. დავის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომელიც წარმოიშობა მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, განიხილება და გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად და ერთი ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს;

7.4. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება განიხილება, როგორც გენერალური ხელშეკრულება და სხვა ნებისმიერი დამატებითი შეთანხმება ამ ხელშეკრულების ფარგლებში ან/და მისგან გამომდინარე, შედგება წერილობით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილს.

7.6. ურთიერთობები რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

- **რწმუნებული**
- მისამართი: ქ.თბილისი მის ნუცუბიძის 517
- ტელეფონი: +995 322 060 997
- ელ-ფოსტა: Inventors.ge@gmail.com
- საბანკო რეკვიზიტები: GE56TB7984636080100005